

ნოანბი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მარიონეტულმა სახელმწიფომ აღ-
ბანეთმა რომის ბრძანებით იქნო უე-
ნერალ ფრანკოს „მთაწილა“.

გ. ისაუვი

ფრის ბითურშტეინის



გერმანულ ფაშისტურ სამხედრო შტაბის თაყაშრომელს ფრიც ბითურშტეინს უკვე ორმოცდა ხუთი წელი შეუსრულდა.

მისიერობის წელი ნაბიჯებით ლიბეცივის მთავარ ქუჩაზე ბითურშტეინი და გამგულ-გამოვლელ ქალებს ათვალისწინებს.

— განიერი თეძო, მოროს სისხო ფეხები, ჩატყვნილი ხელები. ნამდვილი არიელია! — ფიქრობს თავის გულში ფრიც ბითურშტეინი და ნაბიჯს უმატებს, ერთერთ გამოვლელ ქალს ედევნება დიდხანს სტკებდა მისი ყურებით, შემდეგ სახეზე ღიმილი ეკვრება, წინ უსწრებს, უნდა ქალის სახეს შეხედოს, კარგად დაუყვირდეს, ხომ არ ტყუვდება, ალოო ხომ არ ღალატობს... ნუ თუ ის არ არის?! მაგრამ.. იქნებ სწორედ ის არის... მისი ძველი ნაცნობი... მისი ტრფობის საგანი.

ტრამევის განჩერებისკენ უხვევს ქალი, სადაც ეს ეს არის ვაგონი ჩამოდვა. ბითურშტეინი წინ ელოდება.

— ფრიც ბითურშტეინი! ნუთუ თქვენა ხართ?! — ასწრებს ქალის ხმა.

— მატლდა! ჩემო ვაფრენილო ოცნებაე ჩემო მშვენიერო. სიზმარში ხომ არა ვარ?!

— სინამდვილე. მე ვარ, მატლდა ჩაფსკენილბერგი. კიდევ ვახსოვარ? გუშინ შენი სამიჯნურო წერილი ვნახე. ძალიან გამახარა...

და ამ სიტყვების დამთავრებისთანავე შეიღვფთიანი მანდილოსანი მატლდა ჩაფსკენილბერგი ახლად დაძრულ ტრამევის კიბის სახელურს ისე მაგრად ჩაეკიდა, რომ მგზავრები შიშის ზარმა აიტანა: კატასტროფა არ მოახდინოს, ვაგონი არ გადაგვიბრუნოსო.

ბითურშტეინი სახტად დარჩა. დიდხანს გონს ვერ მოსულიყო. როცა გამოფხიზლდა, მის გულში სევდის და სიხარულის ტალღები ერთად ატივტივდნენ: „სინამდვილე იყო... საოცნებო სინამდვილე... მაგრამ ვაჰქრა როგორც ოცნება, ვით სიზმარი... როგორც მოჩვენება“. — გაფიქრა ბითურშტეინმა.

— „შენი წერილი ვნახე... ძალიან გამახარა...“ ნუთუ... და ბითურშტეინი ქალის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს ჩაეჭიდა... იგი ბედნიერების აღმოქმედ წინასწარმეტყველებად მიიჩნია... ოცნებას მიეცა... მას თვალწინ წარმოუდგა თავისი სიჭაბუკე, გერმანულ ქალაქ ლიეპცივის უნივერსიტეტის იფრეფანი... სარკმელთან მდგომი 18-19 წლის მატლდა ჩაფსკენილბერგი. მაშინ იგრძნო სწორედ ბითურშტეინმა სიყვარულის ანტიური ღვთაების, ფროთოსან ამურის მიერ გასროლილი ისარი. ეს იყო მისი პირველი მიჯნურობა. რამდენი უძილო ღამეები გაათენა ფრიცმა მატლდაზე ოცნებაში... რა ბრწყინვალედ ეჩვენებოდა მისი მრამავალი ცხოვრება, რომელიც გასხვიოსნებული იქნებოდა მშვენიერ მატლდას თანამგზავრობით.

მატილდას ქვის გული აღმოაჩნდა. ფრიცის წინადადებაზე თანაგრძნობით გამომხაურებ-ის ნაცვლად, მის ბარათის მიღების შემდეგ ცხვირი მთელი ერთი სართულით ზევით ასწია და პროტესტის ნიშნად სრულიად შესწყვიტა ფრიცთან ყოველგვარი ნაცნობობა.

მაღე ფრიცმა სწავლაც დაამთავრა და ლიეპცივიდან ბერლინს მიაშურა. რამდენი ხანი გავიდა მის შემდეგ, მაგრამ ფრიცი მაინც ისევ წითლდებოდა მატლდას სიყვარულის და მისგან საპასუხოდ შეურაცმყოფელ მედიდურების მოვონებით. ფრიც ბითურშტეინს ახლაც არ ასვენებს მატლდას სიყვარული. მატლდამ მის ტრფობას ოცდახუთიოდე წლის წინ უხეშად ხელი ჩაუქნია, მაგრამ ეხლა კი... „მისი სამიჯნურო წერილი ნახა... ძალიან გაახარა“. ნუთუ ორნახევარი ათეული წლის ნაკადულმა გააღწია მისი გულის ყინული?! უთუოდ... ასე უნდა იყოს! ან როგორ შეიძლება სხვაგვარად გავიგოთ მისი სიტყვის შინაარსი?

— მატლდა ჩაფსკენილბერგი უნდა ვნახო. მატლდა ჩემი უნდა იქნეს—გადაწყვიტა ბითურშტეინმა, მაგრამ მატლდას ნახვა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ბეგრჯერ გაიარა გამოიარა ლიეპცივის მთავარ ქუჩაზე, მაგრამ ამაოდ... ამის შემდეგ სამისამართო მაგიდას მიაშურა.

— მომეცით მატლდა ჩაფსკენილბერგის მისამართი!

- მამის სახელი?
- ოტტო უნდა იყოს.
- ნამდვილად იცით?
- კარგად აღარ მახსოვს, მაგრამ მგონი ოტტო უნდა იყოს.

— მატლდა ოტტოს ასული ჩაფსკენილბერგი მონახეთ! — გასცა ვანარგულგება სამისამართო მაგიდის უფროსმა თანამშრომელმა.

ცოტა ხნის შემდეგ ფრიცს წინ ბარათი დაუდეს, რომლიდანაც ბითურშტეინმა შეიტყო, რომ მატლდა ოტტოს ასული ჩაფსკენილბერგი ილჰელმის ქუჩაზე ცხოვრობდა. ფრიცს სიხარულით სახე გაუბრწყინდა.

— ილჰელმშტრასე №117! ილჰელმშტრასე №117! — ბავშვური აღფრთოვანებით



მატილდა ტრამევის სახელურს ჩაეჭიდა... მგზავრები შიშის ზარმა აიტანა...

რამდენჯერმე გაიმეორა მან. სამისამართო მაგიდის ცნობა გულთან მიიხუტა და ჩქარი ნაბიჯით ქუჩისაკენ გაეშურა. ოციოდე წუთის შემდეგ ვეებერთელა

ეჭვსართულიან შენობის ალაყაფის კარებს მიაღდა.

— მატლდა ჩაფსკენილბერგი აქ ცხოვრობს?

— შეექვსე სართულზე მიაკითხეთ, ბინა—36.

— ლიფტი ჩქარა!

— ამ წუთში დაიძრა, მოითმინეთ ორ წუთში უკანვე დაეშვება.

— რაო? მოვითმინო?! ეს ხომ ჩემთვის ორი საუკუნეა! არ შემიძლია! — შესძახა ბითურშტეინმა და ხუთი სართულის ქვის საფეხურები ერთ წუთში აირბინა.

— ჩაფსკენილბერგის ბინა ეს არის? — ჰკითხა დერეფანში მიმავალ ქალს.

— ბინა შტაინბერგს ეკუთვნის, მაგრამ ჩაფსკენილბერგიც ამ ბინაზე ცხოვრობს.

— მატლდა ჩაფსკენილბერგი! არა?

— დაახ მატლდა ჩაფსკენილბერგი.

— გთხოვთ დაუძახოთ! — აკანკალებული ხმით მიმართა ბითურშტეინმა.

— ახლა შინ არ არის, ხვალ შემოიარეთ. სახტად დარჩენილი ბითურშტეინი, მალალი კიბეების საფეხურებზე ხოს ტოტიდან მოწყვეტილ ფოთოლივით დაეშვა.

მეორე დღეს სამსახურის გათავებისთანავე ბითურშტეინი მატლდას სანახავად გაეშურა.

— მატლდა ჩაფსკენილბერგის სტუმარი ვარ, სთხოვით! — მიმართა მან შტაინბერგის ბინის მოსახლერე დერეფანში დამლაგებელ ქალს.

— მატლდა ბადენბადენში ვაემგზავრა. შტაინბერგის ცოლს და მის ორ ბავშვს მიაცილებს აგარაკზე. თუ მისი ნახვა ძალიან ვინდათ, სადგურის მოსაცდელ დარბაზში ნახეთ, ჯერ სადგურზე მისულნიც არ იქნებიან.

ბითურშტეინი სასწრაფოდ დაბლა დაეშვა. მის ილბაზე ქუჩაში გამოსვლისთანავე ტაქსი დაინახა, ისარივით მისკენ გაექანა და სადგურს მიაშურა.

რომ არ აჩქარებულყო, მეც შევებულეხას ავიღებდი და მატლდასთან ერთად ბადენბადენში წაიღოდი... — ფიქრობდა გზაზე ბითურშტეინი: — აწიც შემიძლია. ხვალვე გამოვიტხოვ ვებებულეხას...

მოსაცდელ დარბაზში შესვლისთანავე ათვალ-ჩაათვალეხრა ყვილა მგზავრები, პერონზეც გავიდა, მაგრამ ვერც მატლდა და ვერც ორბავშვიანი ქალი ვერსად ნახა.

— ალბათ მე მათზე აღრე მოვიდი. — გაფიქრა და ისევ მოსაცდელ დარბაზში შემობრუნდა. ლოდინს ვერ იტანდა... ჯიბითან დროს მოსაქლავად გაზეთი „ფოლკიშერ ბეობახტერი“ ამოიღო და კითხვას შეუდგა. კითხულობდა, მაგრამ რას კითხულობდა, თითონაც არ იცოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ თავი აიღო და თვალი მოჰკრა, რომ მოსაცდელ დარბაზიდან პერონზე ერთი ვი-

დაც ორბაგზვიანი ქალი მიდიოდა. მას წინ მიუძღოდა ვიღაც სავსე ტანოვანი, მატილდას მომგვანო ახოვანი დედაკაცი. ბითურშტეინმა მას სწორედ კარებში გასვლის დროს შეხედა და მხოლოდ მისი ზურვის დახახვა მოასწრო.

— მატილდა.—გაიფიქრა მან და ისეთი სისწრაფით გაექანა მისკენ, რომ მზად იყო თუ შეიძლებოდა ყველა მგზავრები, ვინც წინ უხედებოდა, საკუთარ მკერდით დარბაზის კედლებზე მიესრისა. როგორც იქნა მოახერხა და პერონზე გავიდა. მიაშტერდა ბავშვიან ქალის თანამგზავრს და მატილდას ნაცვლად ვიღაც 85 წლის მანდილოსანი შერჩა ხელში.

მატილდათ მოჩვენებული მოხუცი ქალი და მისი თანამგზავრები ბითურშტეინის

ათმა დღემაც გააჩრა და ფრიც ბითურშტეინი მატილდა ჩაფსკენილბერგის ბინაზე გაჩნდა.

— მატილდას სტუმარი გახლავარ, სთხოვეთ.—წარმოსთქვა ისევ ნაცნობ დერეფანში.— ამ წუთში გეახლებათ.

და თვალის დახამხამებაში დერეფანში კარებიდან სწორედ ის 85 წლის მოხუცი დედაბერი გამოვიდა, რომელიც ბითურშტეინმა ამ კამეტი დღის წინად სადგურზე ნახა. ბითურშტეინის დაბნეულობა დაიკყო, მაგრამ ღონე მოიკრიბა და ისევ წარმოსთქვა.

— მატილდა ჩაფსკენილბერგის სტუმარი გახლავარ. გთხოვთ მატილდას დაუძახოთ.

— მი თვითონ გახლავარ მატილდა ოტტოს ასული ჩაფსკენილბერგი, რომერტ შტაინბერგის ოჯახის შინამოსამსახურე. თქვენ ვინ ბრძანდებით?

— შემშლია...—ჩაილულულა სახტად დარჩენილმა ბითურშტეინმა და ელდანაკრავი ისევ ცნობათა ბიუროსაკენ გაეშურა.

**

— შევრცხვი, დავიტანჯე თქვენი სამისამართო მაგიდიდან აღებულ ცნობის წყალობით. მატილდა ჩაფსკენილბერგი, რომელსაც მე ვეძებ, იქ არ აღმოჩნდა. ჩაფსკენილბერგის ნაცვლად იქ ვიღაც მოხუცი დედაბერი დამიხვდა. სხვებმა რომ იცოდნენ, რაც მე თავს გადამხდა სიცილს დამაყრიდნენ. მომეცით სწორი მისამართი: ის სხვა მატილდაა. მომეცით სხვა მატილდა ჩაფსკენილბერგის მისამართი.

ბიური იძიეს, მაგრამ სხვა მატილდა ჩაფსკენილბერგი ლეიბციგის შოქალაქეთა შორის არ აღმოჩნდა.

— ალბათ ქმრის გიარზეა, ნუ თუ ვიღაც ვინახავ... „შენი სამიჯნურო წერილი ენახე, მეტად გამახარაო“. რამდენი ფიქრი აღმიძრა... ზღვა იმედები... ნუ თუ უნდა ჩამიაროს ჩემმა ოცნებამ?—ამ ფიქრებში გართული ბითურშტეინი ქუჩაზე გამოვიდა.

— ფრიც, შენა ხარ! არც კი გამოიკვილილხარ!—შესძახა ამ დროს შემთხვევით შეხვედრილმა, სტუდენტობის დროის ამხანაგმა და ჟახლოვსმა შეგობარმა, არტურ ფონლასელმა და ფრიცს გადაეხია.

საუბრის დროს არტურმა ფრიცის მიჯნური მატილდაც მოიგონა.

— ხომ არ იცი სად ცხოვრობს?—მოუთმენლად მიახალა ფრიცმა.

— აქვე, ჰაიდელბერგის ქუჩაზე. ორი კვირის წინაც ვნახე. ბაზრიდან მოდიოდა, ძალიან უკმაყოფილებას გამოსთქვამდა სასურსათო კრიზისის გამო, შენც ვახსენა: „ფრიცის სამიჯნურო წერილი ვნახე. ძალიან გამახარაო“...

— რა აზრით სთქვა, თუ იცი.

— სხვა განმარტება არ მოუცია. შენი სახელის და განსაკუთრებით წერილის ხსენებაზე ღიმილი შევაძინე.

— ვუყვარვარ!.. უთუოდ ვუყვარვარ. ჩემი უნდა იქნეს...—ისევ გაივლო გულში ბითურშტეინმა, თავი მალლა აიღო და კვლავ მეგობარს შეეკითხა:

— ქმარ-შვილიანია?

— ორი ბავშვი ჰყავს, ქმარი კი სამი წლის წინად დაედუბა.

„საქმე გაჩარხულია“,—გაიფიქრა ბითურშტეინმა, მეგობარს მატილდას ზუსტი მისამართი გამოართვა და მხიარული სახით მისკენ გაეშურა.

— მატილდა ქმარცხოვრებულსონი აქ ცხოვრობს?—იკითხა მეორე დღეს ერთი შენობის შესავალში ფრიც ბითურშტეინმა.

— მიბრძანდით, მეორე სართულში, 71 ბინაშია,—უთხრეს მას.

ზარი დააწკარუნა.

მატილდა გამოვიდა.

— მიბრძანდით.—მიეგება რამდენადმე გაკვირვებული მასპინძელი და სასტუმრო ოთახში შეიყვანა.

— დაბრძანდით! საკვირველია, რა სასწაულმა მოგიყვანა ჩემს ბინაზე!...

— მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. სჯობს პირდაპირ გაგიძულავნო. მე კვლავ ძველებურად მიყვარხარ. გავიგე, რომ დაქვრივებულხარ. დაე, დავივიწყოთ წარსული და შევუდგეთ ახალ ცხოვრებას. მე კვლავ მწყურია შენი მეუღლე გაჩხე.


— მაგ საკითხზე მე იმავე აზრისა ვარ, როგორც ამ ოცდა ხუთი წლის წინათ გამოვხატე...

— მამ მოვსტყუვდი?! მე კი ისე აღმაფრთოვანა შენმა სიტყვებმა...

— რა სიტყვებმა? ასეთი არაფერი მითქვამს...

— აკი თქვენ თვითონ მითხარით: შენი სამიჯნურო წერილი ვნახე. ძალიან გამახარაო?! ახლაც მიკვირს: როგორ უნდა გავიგო მათი მნიშვნელობა?!

— ახ, მართალია. მიგზიდი რასაც ამბობ... მე თქვენი სამიჯნურო წერილის ნახვა ძა-



...ელდა ნაკრავი ისევ ცნობათა ბიუროსაკენ გაეშურა...

ლიან გამეხარდა...

ფრიცი ამ სიტყვებზე ისევ გამოიკვირდა.

— გამიხარდა, მაგრამ არა იმ მნიშვნელობით, როგორც თქვენ გეჩვენებთ...

ბითურშტეინს კვლავ ცივი წყალი დაესხა

— გამეხარდა იმიტომ, რომ მასში ორასი გრამი ძხვი იყო გახვეული.

**

ფრიც ბითურშტეინი სავარძელში მორიგით იდვა და არ იცოდა კარს მივარდნოდა, რევილოვერის ტყვიით თვითმკვლელობის აქტი მოეხდინა, თუ პირდაპირ ფანჯრიდან გადახტარიყო.



...85 წლის მანდილოსანი შერჩა ხელში...

ოვალწინ მატარებლის უკანა ვაგონში შევიდნენ. მატარებელი დაიძრა. უცებ წინა ვაგონის ფანჯრიდან თავი გამოყო ორმა ბავშვმა და ერთმა შუახნის ქალმა და გამცილებლებს თეთრი ცხვირსახოცი დაუქნია.

— იქ არის, მათ ახლავს ნამდვილად! როგორ დავიბენი. ხვალვე მოვითხოვ შევებულებას.—გაიფიქრა ისევ ბითურშტეინმა და მატილდას უნახაობით გულნატკენი, აბნეული ნაბიჯით ვაგზლის პერონიდან ქუჩაზე გაივიდა.

**

მეორე დღეს ბითურშტეინმა შტაბის უფროსს პატაკი მისცა მორიგი შევებულებაში წასვლის შესახებ. სამი დღის შემდეგ პატაკზე შტაბის უფროსმა უარყოფითი პასუხი დააწერა: „შევებულების მიცემაზე უარი ეთქვას წითელი საფრთხის ვაზრდის გამო“—ო, ამ მორიგ უსიამოვნებას ერთი სანუგეშო ამბავი დაემატა: ფრიცმა უფროსის პასუხის მიღებამდე მატილდას ბინას მიაშურა, მეზობლებისაგან ბადენ-ბადენში მატილდას ადგილსამყოფელის გასაგებად. მეზობლებმა მისამართიც უთხრეს და თანაც დაუმატეს: კამეტი დღით წავიდა, სამი დღე უკვე გასულია და ათი დღის შემდეგ უკანვე დაბრუნდებაო“.

**

ბითურშტეინი ბედს შეურიგდა. მეტი გზაც არ ქონდა. მოუთმენლად ელოდა მატილდას დაბრუნებას. ათი დღის მანძილი ათ საუკუნედ მოეჩვენა.

„შიგოფრანუს ტრიფონ ბერიუს“



მე დამაჯილდოვეს პატეფონით. ფაქტია, რაღა თქმა უნდა, მეტად სასიხარულო, მით უმეტეს, რომ დიდი ხანია ვოცნებობ ამ ინსტრუმენტის შექმნაზე.

პროფორგი მიხეილი, ადგილკომ ვლადიმერის დავალებით წავიდა სპორტის მალაზიაში. საზეიმო სხდომაზე წითელი პატეფონი შემოიტანა. სახე მასაც იმ პატეფონით გასწითლდებოდა, ალბათ სიხარულისაგან.

სხდომაზე დიდი ზეიმით გადმომცეს კოლომენსკის ქარხნის ეს მშვენიერი დასაკრავი (ფასი—409 მანეთი თავისი კაპეიკებით). მე მორცხვად ჩავლუნე თავი და ვინაიღახ დიდი მომზადებული სიტყვა შემეშალა, ჩავილულულე, რომ ეს ჯილდო მავალებს... მავალებს ენერგიულ მუშაობას (თითქოს ეს ჯილდო უენერგო მუშაობისა და ღლაბუცობისათვის მომცეს!) და ხარისხიანობას (თითქოს წუნისთვის ხალხს აჯილდოვებდნენ!).

ერთი სიტყვით, სიტყვა ვერ გამოვიდა მარიფათიანი, მაგრამ ოვაციები მაინც გამიმართეს.

— აბა, ახლა დავუკრათ!—სიტყვა ადგილკომის თავმჯდომარემ და ერთადერთი ფირფიტა დასდო თავის ადგილას.—მერე რომ იცოდეთ, რა ფირფიტაა!

- ფოქსტროტია?
- ჯაზი იქნება!
- ტანგო-რიტა?
- არა, სულ სხვა რამეა!—ჩაიცინა პროფორგმა.—„ტრიფონ ბერი“, „ტრიფონ ბერი!“ ტაში დაუკრეს.

ჩემმა ინსტრუმენტმა სირინოზის ხმით დაუკრა „ტრიფონ ბერი.“ ყველას მოეწონა. ამ ლექსის შინაარსი ისაა, რომ ვინმე ტრიფონ ბერმა, სტუმრად ყოფნისას, იყო რა გადაკრულში, ღამით „საცეცხლური დაკარგა და პატარძალს გადუყო ხელი“. თუმცა რა გულუბრივეობაა ჩემის მხრით „ტრიფონ ბერის“ შინაარსის მოყოლა! არა მგონია, ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკაში ვინმე დარჩენილიყოს ისეთი, რომ ტრიფონ ბერის სიწუწუკე არ წაეკითხოს, ან მით უმეტეს, არ მოესმინოს.

იმ საღამოს ოციოდეჯერ დაუკრეს ტრიფონის ამბავი და ცოტა არ იყოს, თავიც შეგვაწყინეს.



შინ დიდი ზეიმით წავიღეთ ჩემი აპარატი: შვილიოდე უახლოესი მეგობარი წამყვა თან. ამდენივე სახლში დამიხვდა: გავგოთ დაჯილდოების ამბავი და მოსალოცად მოსულიყვნენ.

ჩემი თანმხლები მეგობრები ცოტათი მორცხვად იყვნენ: მათ თითო ფირფიტა ეჭირათ ხელში ჩემთვის მოსალოცად და წარმოიდგინეთ, ყველას „ტრიფონ ბერი“ ეყიდა. (სხვა ფირფიტა ამჟამად ქალაქში იშვიათად მოიპოვება მასობრივი მყიდველისათვის. ისე კი

ყველას ხომ არ ეყოლება ბიძაშვილი და მეგობარი?).

რაღას ვიზამდი? მადლობით მივიღე ეს ჯილდოები.

დიასახლისი ღიმილით გამოგვეგება.

— ჯილდო მოიტანეთ? სამაგიეროთ, აი, მე რა ვიყიდე: „ტრიფონ ბერი“!

გული მომივიდა, მაგრამ არაფერი მითქვამს (მეორე დღისთვის გადავდე).

ვახშმად დაჯდომამდე ხუთმეტჯერ მაინც დაუკრეს იმ შეჩვენებული ბერის ამბავი.

ვახშამდე ხუთიოდე კაცი კიდეც შემოვიდა; იცოდნენ რა პატეფონის ამბავი, მათაც მოიტანეს... „ტრიფონ ბერები“. თან ბოდიშს იხდიდნენ, რომ სხვა ფირფიტები ვერ იშოვეს...

„ტრიფონ ბერი პირფარის იწერს, მე არა ვარ ცულის მქნელი...“

თუთიყუშივით იმეორებდა ჩემი პატეფონი. ვახშამი ფრიად მხიარულად ჩატარდა ჩემი სტუმრებისათვის. განსაკუთრებით მოიხიზნეს „ტრიფონ ბერებმა“, რომლებიც ოცამდე დაგროვდნენ ერთი საღამოს განმავლობაში.

„შუღამე რომ მოვიდა, პატარძალს გადუყო ხელი, პატარძალმა დაიყვირა: „უიმე დედავ, მომწყდა წელი““.

დარდისაგან მე მაღა დამეკარგა. ისე, სტუმრების გულისთვის, ძალით ვიღებოდი.

სიმღერა კი არავის უთქვამს: ტრიფონები გვილხენდნენ.

ი ს რ ე ბ ი

იაპონია—გერმანიის შეთანხმებამ იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროში აღტაცება გამოიწვია. მინისტრმა არიტამ გულში ჩაიკრა ბ. ტლერის სურათი.

გამიჯნურდა არიტა სურათს იღებს უბეში, და „სატრფოსთან“ ერთად სურს ცურვა სისხლის გუბეში.



ესპანელმა ფაშისტმა გენერალმა კაიბოდე ლიანომ მადრიდის დანიშნულ ვადაზე აღუბას განუბორციელებლობის შემდეგ რადიოთი განაცხადა: „გენ. ფრანკოს მადრიდი არ აინტერესებს“.

გაწბილებული მტარვალი, ვით ცნობილ ცხოველს სჩვიავა, კულ დაშვებული უსირცხვოდ იძახის: „პარასკევია“.

„საცეცხლური დამეკარგა, მისთვის ვაფათურე ხელმ.“

(—ობ! ვინც ეს ბერები მოიგონა!)

„იმ საცეცხლური ძებნაში

ჩავხვეოდი ეს ოხერი“.

მე მეტი აღარ შემეძლო. თავის ტკივილი მოვიმიზეზე და მეორე ოთახში გავედი. ქუჩის მხარეს ფანჯარა გავაღე და წამოვწყვი. დაძინება მინდოდა, მაგრამ ტრიფონები დაგაძინებენ! (ჯერ იმ საწყალ პატარძალს რა უყვეს?).

მძინავს? არა: ბურანში ვარ და მესმის თუ მეჩვენება: „აგერ მოდის ტრიფონ ბერი, კბილებს გააქვს კრატი-კრუტი... პატარძალს გადაუყო ხელი, სიბნელეში დავიბენი... საცეცხლური ის ოხერი...“ აი, ტრიფონ ბერმა „ხელი გადმომიყო“ და მე დავიყვირე:

„უიმე დედავ, მომწყდა წელი!“

— ნუ გეშინია ხაზენი! ეს მი ვარ!—მომესმა ხმა. ფანჯარაზე ჩვენი მეეზოიე აბაზა ამოხიხებულყო და მადვიძობა:

— ხაზენჯან! მე კარებიდან მოსვლა მრცხვენია, იქ სტუმრები არიან... გავიგე პატეფონი მიგილია... აგერ პლასტინკა მოგიტანე, შენი ფეშქეში იყოს!

ფირფიტა შემომამჩეჩა და ძირს ჩახტა. დაწმუნებულმა, რომ ეს აღმოსავლური მუსიკაა, ცოლს დავუძახე და ეს დაუკარი-თქო ვსთხოვე. დაუკრა...

„ზევიდანა წამოვედი მე და ჩვენი ტრიფონ ბერი... შუღამე რომ მოვიდა ქე გადუყო იმას ხელი...“

— იქვე წავიქეცი... არა, არ წავიქეულვარ, რადგანაც ვიწუქი: გული წამივიდა მხოლოდ. დანარჩენი აღარ მახსოვს.

გონს მოვედი დილით, როცა სახლის სამეულის თავმჯდომარემ გამაღვიძა, სახლის მობინადრეთა სახელით ჯილდოთ მომიძღვნა ფირფიტა და გაღივებით მითხრა:

— ოცი რა ფირფიტაა? ტრიფ...

ღიახ: ფირფიტა წყეული ბერ ტრიფონას შესახებ.

დილის 11 საათზე სასწრაფო დახმარების მანქანით მოსულმა ექიმმა დათვალა ფირფიტები და აღმოაჩინა რა ოცდაცხრამეტი „ტრიფონ ბერი“, დამისვა ღიაგნოზი:

— შიზოფრენია! ესე იგი სიგიჟის ისეთი სახე, როცა ავადმყოფს რაიმე ეჩვენება და აშინებს. ამ შემთხვევაში—„შიზოფრენუს ტრიფონ ბერუს.“ სიწყნარეში ამყოფეთ. სასულეირო პირებისა და კერძოდ ბერების შესახებ ლაპარაკს ერიდეთ. თუ ოჯახში ვინმეს ტრიფონი ჰქვია, სახელი გამოუცვალეთ!

აი, რა მიყო იმ სულწაწყემდილმა. ალღარ-ალღარსან.




„...მეოთხე ჯგუფი კრიტიკოსებისა, იერიში მიამყს რა ახალი კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ, ახასიათებს მას, როგორც „მკრას მარჯვნივ“, როგორც „ხელის აღებას პროლეტარიატის დიქტატურაზე“, როგორც „ბოლშევიკური რეჟიმის ლიკვიდაციას“...

...თუ სოციალიზმის გამარჯვების საკანონმდებლო განუტკიცებას, ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა და დემოკრატიზაციის წარმატებათა საკანონმდებლო განუტკიცებას ისინი უწოდებენ „მკრას მარჯვნივ“, მაშინ უფლება გვაქვს ვიკითხოთ: იცინა კი საერთოდ ამ ვაჟბატონებმა — რითი განსხვავდება მარცხენა მარჯვნივ აბან? — (საერთო სიცხილი, ტაუნი.)

ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენებიდან საბჭოების სრულიად საკავშირო VIII ყრილობაზე.

გ ა უ გ ე ბ რ ო ბ ა



სოფლის კოოპერატივის წინ, მუხის ქვეშ თავი მოეყარა ათი-ოდე მოხუც გლეხს. იქვე ქვაზე ჩამოძვარიყო ნამამასახლისარი ნიკიფორა და გაზეთს ჩასჩერებოდა.

— იმე, სახუმარო ამბავი არაა ჩვენს თავზე ხალხო, — წამოიძახა უეცრად ნამამასახლისარმა.

— რა მოხდა კაცო. — შეეკითხა ნიკიფორას რამდენიმე გლეხი.

— გაზეთში საოცარი ამბავი სწერია. გლახათაა საქმე...

— წაიკითხე, წაიკითხე...

ნიკიფორამ ჩაახველა და დაიწყო კითხვა:

„საპაერო განგაში“ ტფილისში,

ყველა ყურადღებად გადაიქცა.

...ნაშუადღევის ორი საათი იყო, როცა გაისმა საგანგაშო სირენებისა და საყვირების ხმა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ „მტერი“ მოუხლოვდა ქალაქს და პაერიდან „ყუმბარების გადმოყრით“ ემუქრება ლენინის რაიონსა და 26 კომუნარის რაიონსო...

— მერე, მერე იმ ოხრებს მართლა ხომ არაფერი გადმოუყრიათ.

...რამდენიმე წუთს გრძელდებოდა საყვირების შემზარავი ხმაური, ქუჩებს კალიასავით მოედენენ თავდაცვა-ავიაციის საპაერო თავდაცვის რაზმელები, მილიციელები, მეეზოვეები...

— ბიჭოს, სახუმარო საქმე არ ყოფილა...

...ყველანი აირწინალებში არიან, მოწოდებენ მოქალაქეებს თავშესაფრებისაკენ. ქუჩებში შეწყდა მოძრაობა, მიმოსვლა...

— რას ამბობ ნიკიფორა. მასე სწერია? — გაკვირვებით იკითხა მოხუცმა სიმონამ, რომელსაც ქალიშვილი ჰყავდა ტფილისში და იმის დარდი ქონდა. — ჩემს სონიას არაფერი შეემთხვეს.

— მართალია, აპა რა გეგონა. — მიახალა ნიკიფორამ.

— აეშალა ეხლა ამას საღერდელი, გააწყვეტია ნიკიფორას სიტყვა ერთმა გლეხმა.

— მაგ გაზეთი წაიკითხე, ის გირჩევნია — შეუტია მეორემ ნიკიფორამ განაგრძო:

...„ლენინის რაიონის მთელ რიგ საწარმოო კვარტალებში მტრის თვითმფრინავებიდან გადმოყრილი ყუმბარებით „ცეცხლი“ გაუჩნდა ქარხნებს, დიდ საცხოვრებელ სახლებს, ქუჩებში მომაკვდინებელი „აპრიტია“ დაღვრილი...

— პრიტოი. ეგ რაღაა ნეტა?

— რაა და დახოცილი ხალხის სისხლი იქნება, აგერ არ სწერია:

...აქა-იქ „დაიხოცნენ მუშები“.....

— ეგ სულ ფაშვისტებია თუ რაცხა, იმათი საქმე იქნება, ნამდვილად. თუ ლენინის რაიონში ეს გაბედეს, ჩვენს რაიონს რა ხერხს დააყრიან.

— რალაც დაუჯერებელი ამბავია სწორედ, რომელი გაზეთია, ნიკიფორე, ეგ რო სწერია. — იკითხა კოლმეურნე ისიდორემ.

— რომელი და მთავრობის გაზეთია. „კომუნისტია“ 27 ოქტომბრის.

ნიკიფორემ გაზეთი გადმოაბრუნა, მართლაც „კომუნისტი“ იყო.

— მაინც არ მჯერა შენი, ვიცი რაც ქვემძრომი ხარ. მაჩვენე მე თვითონ ვნახავ — ამ სიტყვებით ისიდორემ გაზეთი გამოსტაცა ხელში ნამამასახლისარს და გადაავლო თვალი ცნობას განგაშის შესახებ.

ნიკიფორას ღელვა დაეტყო. ბუტბუტებდა:

— ნახე, ნახე. ჩემზე უფრო ნასწავლები გახდით ახლა. ჩემი აღარ გჯერა...

ისიდორე მიხვდა რომაც იყო საქმე და ნიკიფორას მივლინა. — შე უსინდისო შენ. რომ მართლაც ბრყვე ვინმე ჩავლო ხელში ქე დააჯერებს — ტფილისს მტერი დაეხსა თავსო.

შემდეგ გლეხებს მიმართა.

— აქ მაგის მზგავსი არაფერია.

სიმონას გული მოუვიდა.

— როგორ თუ არაფერია. ქალაქი კინალამ დაანგრის, ხალხის პრიტით მორწყეს იქაურობა, ჩემი სონია იქნებ ცოცხალიც არ არის და ამაზე მეტი რაღა უნდა იყოს.

— დაშვილდი ჩემო სიმონა. წაიკითხულს გაგება უნდა. კაო გაუ დააკვირდით როგორ სწერია. ყველა გაზეთს დააჩერდა.

...ეს იმის ნიშანი იყო, რომ „მტერი“ მოუხლოვდა ქალაქს...

— შეხედეთ როგორ სწერია სიტყვა „მტერი“. ის ბრყყალებშია ჩასმული. ეს იმას ნიშნავს, რომ მართლა მტერი კი არ მოსულა, არამედ ხალხს ასწავლიდნენ როგორ უნდა მტერს შეხვედრა. აი კიდევ დააკვირდით: ნიკიფორა რო კითხულობდა ბრყყალებზე არაფერი სთქვა და ჩვენ სიმართლე გვეგონა.

...„პაერიდან“ „ყუმბარების გადმოყრით“ ემუქრება — ლენინის რაიონსო....

— სიტყვები „ყუმბარების გადმოყრით“ ბრყყალებშია ჩასმული, მასასადაძე, არავითარი ყუმბარები არ ყოფილა, ხალხს მოაჩვენეს ტყუილად, ვითომ ყუმბარები გადმოყარა მტერმა, უნდოდათ გაეგოთ რა ზომას მიმართავდნენ. ბრყყალებშია აგრეთვე სიტყვები: „აპრიტია“, „ცეცხლი“, „დაიხოცნენ“. იმას ნიშნავს, რომ არც აპრიტია, არც ცეცხლი და არც დახოცვა სინამდვილეში არ ყოფილა. აღარ გახსოვთ მასწავლებელი რო გვიხსნიდა სკოლაში ბრყყალების მნიშვნელობას.

— შენს პირს მაქარი თუ ეგრეა, მარა მე ბრყყალებისა არა მახსოვს რა. აგერ ჩვენ კოოპერატივსაც ქე აწერია „წითელი სხივი“, აქაც ბრყყალებია, მაგრამ კოოპერატივი ხომ მოჩვენება არაა, — არ სცხრებოდა სიმონა, თუმცა ექვები გაეფანტა.

— მოეხუცდი, მახსოვრობა დამეყარვა — თითქოს ბოდიშს იხდიდა სიმონა, — არა, ამ ქოფაკს შეხედეთ, მოტყუილებასაც რო გვიპირებდა!

ნიკიფორა კუდამოძუებული მიდიოდა სახლისკენ და ბრაზ-მორეული ბუტბუტებდა:

— აფსუს ჩემი დრო. ეხლა ყველა ნასტავლი გახდა. ტყუილიც აღარ გადის... **ლევანიკა.**



— „ნიანგს“ დაექებ? ველარ იზოვი... გა ყიდულია! მე კი მთელი წლის კომპლექტები მაქვს...


— მასწავლე როგორ შევიძინო?

— მაგის წამალი ჩემზე უკეთ მაქსიმეციცინ... მეც მას მივბაძე მიაკითხე ამავე ჟურნალის მე-15 გვერდზე. (იხ. მე-15 გვ.)

შეტყობის ფორმა

(მისამართი)

აქ მოთავსებული მასალის გამოქვეყნებით, ჩვენ განვიზრახეთ მოგვეცა ფოსტა-ტელეგრაფის აპარატის მუშაკებისათვის და აგრეთვე ჩვენი მკითხველებისათვის იმის სურათი, თუ როგორ შეიცვლებოდა და რა სახით მიიღებდნენ ილიას ტექსტის „გაზ-ფოსტის“ ცნობილ ტაბებს თუ ვინმე მოინდომებდა მის დებუთით გადაცემას. დებუთის პირველი ბლანკი (1) გამოხატავს იმას, თუ როგორ



1. (ობლ. край) _____
 № _____ ცა _____ გო _____ ყ _____ მ
 Служ. отп. етк и

2. (ობლ. край) _____
 № _____ ცა _____ გო _____ ყ _____ მ
 Служ. отп. етк и

3. (ობლ. край) _____
 № _____ ცა _____ გო _____ ყ _____ მ
 Служ. отп. етк и

4. (ობლ. край) _____
 № _____ ცა _____ გო _____ ყ _____ მ
 Служ. отп. етк и

5. (ობლ. край) _____
 № _____ ცა _____ გო _____ ყ _____ მ
 Служ. отп. етк и

ტექსტი ჩააბარა გამგზავნმა; მეორე (2) — როგორი გადასცა, ვთქვათ, ცენტრალურმა ან პირველმა სადგურმა; მესამე (3) — როგორი გადასცა მეორე ქვესადგურმა; მეოთხე (4) — როგორ გადასცა მესამე ქვესადგურმა და მეხუთე (5) — როგორი სახით ჩააბარეს ადრესატს.



— ჩვენი ქარხანა დამკვრელურად მუშაობს. წარსულ კვარტალთან შედარებით პროდუქცია ასი პროცენტით გაიზარდა.
— რამდენი გამოუშვით წინა კვარტალში?
— ორი უფურო ქოთანის!

უიუი და უიბაქი

დიდი ხანია ვიცნობ ამბერკის, კაცს: თავგადასავლითა და შინაურული ინტრიგებით მდიდარს, მშინარას და გაბედულს, ლიხარსა და გმირს!
კარგი ხანია აღარსად შემხვედრია. ამასწინად გზაზე შემეფეთა... კერძო საუბარში სიტყვა ჩამოვუვდე:
— ცოლი არ გითხოვია კიდევ?
— ცოლს ვინ გამოგატანს, რომელი ქმარი იქნება ტუტუცი!— ძალად გაიკვირვა.
— არა, მე გეკითხები: ქალი თუ ითხოვე?
— მშვენივრად ლაპარაკობ, ქალის თხოვა ასე ადვილია?!
— მაინც რატომ, ბიჭად-ბიჭი კარგი ხარ.
— ცოლსა დიდი ცომი უნდა, ასი ლიტრი საფანელი!— ძველებური ანდაზა მითხრა და წუწუნს მოჰყვა:
ამბობდა რომ: არც ისე სახუმაროა ქალის

თხოვა. დიდი გაძლოლა უნდა ოჯახს.
მართალია მე სხვა აზრის ვიყავ, მაგრამ დავა არ დამიწყია: არ მინდოდა ჩხუბი მოგაეხდინა ამდენი ხნის ნაცნობებს ასეთ უბრალო ამბავზე.
ასე დავშორდი იმ სალამოს ამბერკის და როგორც პროფესიით შორეულს დიდხანს აღარ შემხვედრია...
ჩემი მოთხოვრების მეორე ნაწილის ამბავი სამი თვის შემდეგ ხდება.
სალამო ხანს, ქუჩაში შემომხვდა ახალგაზრდა კაცი, თმაგაწეწილი, დაღრეჯილი, უშნოთ ჩაცმული, პაპიროსის არამწვეარი და პირში პაპიროს გარჭობილი.
ძლივს ვიცანი: ამბერკი იყო.
— რა გაგჭირებია?! — ვკითხე მეგობარს.
— ფული გაქვს?— შემეკითხა.

— რად გინდა?— მეც შევეკითხე.
— სასიამორო კინალამ შემომაკვდაო,— ამბობდა— გადამეკიდა: ქალი გამიბახე და აღარ თხოულობო, ვილას რაღად უნდა აწი გაბახებულიო, ითხოვეო; მე— კი ჯერ დაოჯახების დრო არ მაქვს. რა დროს ეგ არის, ვთხოვ, რომ ხუთ წელიწადს მომიცადოს.
გუამზე, რომ: მე იმდენი ფული არ გამაჩნდა— ამბერკის ქორწინებას და დაოჯახებას ჰყოფნოდა. კინალამ გაიცინა და განმარტა, რომ მას მხოლოდ გუნებაზე მოსასვლელად სჭირდებოდა ფული, ნერვები ჰქონდა მოშლილი და ერთი-ორ ჭიქას თუ გადაჰკრავდა გულს გადააყოლებდა როგორმე.
ამაზე მე თავად დავბატიე და რომ შეჭიკტიკდა, მკითხა:
— მოსკოვში, თუ იცი, ბევრია კლუბები?

ბოდვა—იხ. რასიული თეორია.
კატასტროფა. — „პატარა უსიამოვნე-
ბა“. უფრო ხშირად ტრანსპორტის რომე-
ლიმე სახის მექანიკურ საშუალებით მოგ-
ზაურობის დროს, რომელშიც კატას არავი-
თარი ბრალი არ მიუძღვის და გამოწვეუ-
ლია უნთავრესად ტრანსპორტის მუშაობას
დაუდევრობით.

რასიული თეორია—ფაშისტური მოძღვრე-
ბა, რომელიც იკვლევს ნოეს წარმოშობას,
აწესებს ცხვირის სიგრძე-სიგანის ნორმებს და
თავის ქალას. მისი მიმდევრები ისერიან დო-
რბლებს სემიტური რასის მისამართით, ჰქა-
დაგებენ ომს სხვების დასაპყრობად, სწვავენ
წიგნებს და რეინსტაგებენ, აშენებენ კონცლა-
გერებს და იბრძვიან—ქალის მოკლე კაბების
წინააღმდეგ.

ე ლ ვ ა

დაიცავით

ფოთის რკ. გზის სადგურის ნაკვეთზე
ოკ. გზის დამცველი რაზმის მიერ გაშენე-
ბულ ლიმონ-მანდარინის პლანტაციას ხაოუ-
ბი და კამეჩები შეესია.


მოველით ნიანგის განსაკუთრებულ
განკარგულებას.

გუ.

ამბოგენ.

7 XI გამოვიდა საჯევახოს კლუბთან არ-
სებული კედლის გაზეთი, „გამარჯვებულთა
ხმა!“ და სად. საჯევახოში ადგილკომის გა-
ზეთი, რამაც აღფრთოვანება გამოიწვია გლე-
ხებში და მუშებში. ამბობენ: — „რამდენიმე
თვის შემდეგ კიდევ გამოვაო“.

ქონელი.



დარბაზში: — მხედვე კაცო. აქ აღზაბ
ვინმე ჰიპნოტიზიორი იყო, რომ მთელ აუ-
დიტორიას ხძინავს!

სცენაზე: (კონფერანსიე)—აღეჭით, თქვე
ოჯახქორებო, გათენდა... თქვენი გამოხვ-
ლის დროა უკვე...

— რამდენიც გნებავს.

— კლუბის გამგე არ დასკირდებათ? აქე-
დან სულ მინდა გავიქცე, ოთახსა და ავეჯს
გავყიდი და მოუსვამ, აქ აღარ მელგობება
ასეთ პირობებში.

წარმატება ვუსურვე და დავშორდი.

კარგახნის შემდეგ ჩაცმულობით უკეთესს,
მაგრამ ხასიათით უარეს მდგომარეობაში შე-
მომხვდა ამბერკი. ცუდათ ჰქონდა საქმე. ძა-
ლიან ცუდათ: ცოლი ჰყოლოდა ორსულად.

— მერმე რა, რამ შეგაშინა?!—გკითხე.

— გადარეგას ვარ, რა გაუძღვებს ზავშვის
ქნავილს, იმის დასერილ ჩერებს... აკვანი,
უბედურება. ჰკუაზე შევიშლები სიმშვიდეს
მოყვარული კაცი.

— მამა სულელი გყავს?!—გკითხე.

— რას დამცინი—მომიგო—ქუთაისში ორი
არ დადის მამაჩემისთანა განათლებული და
ჰკუიანი კაცი.

— დები ან ძმები თუ გყვანან.

— ექვსნი. რაზე მეკითხები?!

— შენის სიტყვით აუცილებლად სულელი
უნდა იყოს—ვუთხარი და დანარჩენი აღარ
განუშვარტე.

საშინელი ამბავი მამცნო: თავი უნდა მო-
ვიკლაო, მითხრა. კაცის სიცოცხლე არაფერი

არ ყოფილაო, დღეს ხარ, ხვალ აღარ იქნები,
მორჩა და გათავდაო.

— დანა ვათხოვო?—გკითხე.—ან იქნებ
სტრიხინინი დაგჭირდეს, ეგეც კარგია.

კოტახანს გაჩუმდა და მერმე გაბედულად
მომიგო.

— რას დამცინი, მაგდენს არ ვიწვალე,
ჩელუსკინელთა ხიდიდან ტყავ! და გათავდა
ყველაფერი.

ავუხსენი, რომ ჩელუსკინელთა ხიდიდან
ყოველგვარი ნაგვის გადაყრა აკრძალულია,
კიდევ ვუსურვე წარმატება და დავემშვი-
დობე.

და ერთი თვის შემდეგ პლენხანოვის პროს-
პექტზე მივესირობდი. კირკის წინ სამგლო-
ვიარო პროცესია მოდიოდა. უამრავი ხალხი
მოსდევდა გარდაცვლილ ახალგაზრდას. სამ-
გლოვიარო მარშითა და მწარე ქვიოინით
მისავენებდნენ ჩვენთვის უცნობი კაცის ცხე-
დარს, რომლისადმი მიძღვნილ გვირგვინების
ლენტებზე „ვიგრფასი ამბერკი“ ეწერა.

ცხვირსახოცი ამოვიღე და სატირლად
მოვემზადე, მეცოდებოდა საწყალი ამბერკი
ასეთ მდგომარეობაში მყოფი.

ცხედარი გაატარეს, სხვა ამბერკი გა-

მოდგა და სწორედ ერთი წუთის შემდეგ ჩე-
მი მოთხრობის გმირი, თქვენთვის და ჩემთვის
ნაცნობი ამბერკი შემომხვდა: კოხტად ჩაც-
მული, თმაგადავარცხნილი, ქამარში შიბაქი
ჰქონდა გარჭობილი.

სიცოლით მომესალმა. მოიკითხე: ხუმრო-
ბით ვუთხარი საიქიოს რა ამბავია-მეთქი და
მითხრა: ტყუბი მეყოლაო, ქალი და ვაჟიო,
ოჯახი გამიმხიარულესო, ისეთი ზორბები
არიან ის-მამაძაღლები მეტი არ იქნებაო.
მხოლოდ, ახალი უბედურება დასტეხოდა ამ-
ბერკის თავზე:

— შიბაქები არ იშოვება კაცო, ერთი კვი-
რასა დავეძებ, განა მარტო მე დავეძებ, ბევრ-
ნი დავეძებენ, მშობიარობამ იმატა, ძალიან
იმატა. ქალისთვის ძლივს ვიშოვენე, ბიჭის
შიბაქი არსად იყიდება, უნივერმალს ხომ არ
ექნება?

— არ ვიცი-მეთქი—მივუგე...

გამომშვიდობის წინ შემეკითხა:

— შენ რალას შვრები, ქალი არ ითხოვე?

— ცოლსა დიდი ცომი უნდა-მეთქი—მივუგე

— მშიშარა ყოფილხარ, საცოდავო!—მო-

მახალა და გზას გაუდგა შიბაქის საძებნელად.

გ. ივანიშვილი.



ლინგაჟი

— არიკა მიწველეთ! საალარო გაულიათ! ბიბილეთები მომომოუუუპარაეთ! — გაისმა ხმა და ისტერიკა მორეული ქსანის რკინისგზის სადგურის მოლარე ლუბა კიკნაძე სადგურის უფროსის კაბინეტში გაიშხლართა.

სადგურის უფროსი ამხ. ქელიძე შეუდგა დაზარალებულ სალაროს აღწერას. აღწერის

დროს მან ფეხი წამოჰკრა რაღაცა ნივთს, რომელიც სალაროს ქვეშ ედო. აიღო ხელში, გახსნა და შეხვეული გაზეთის ნაჭერში აღმოაჩინა 128 მანეთი.


— აი, ჩემო კარგო, სალაროს დანაკლისი, — უთხრა მან ლუბას. ლუბას შედგენილი გეგმა ჩაიშალა.

აჯამეთის რკ. გზის პროფრწმუნებულმა ბეკენაძემ 4 დღე გააცდინა რელიგიურ დღესასწაულებზე (დღეობაზე) წასვლის გამო.

ხატების ემზით ყოფილა პროფკომი დანატყვევები და მათ შესწირა ზვარაკად მან სამუშაო დღეები.

საკატიო მგზავრები

ხშირად სამგზავრო მატარებლით ცოცხალი ღორები მიყავთ.



— სხს... არ გააღვიძო. მთავარ რევიზორის ძმა კაცის ღორებია. თბილისში მიდიან ეს ეს არის, რაც ტკბილად დაიძინეს.

ღვინით დაჯარიმეს

7 ნოემბერს მატარებელ № 45-ის რევიზორმა ფარცხალაძემ მგზავრ ქალს სტუდენტ მუსხურობის დედას ვითომ „ზედმეტი“ ბარგის ჯარიმად ერთი ლოქი ღვინო წაართვა.

ეს ამბავი ნიანგო, ნაკლებ მოსაწონია, ღვინით დაჯარიმება უფრო არ გაუფიქრია.

ფარცხალაძე ასეთებს ალბათ გაიმეორებს. ეს ამბავი არ მოგვწონს ჩვენ რკინისგზულ მუშაკორებს.

გზების სამმართველომ კი ამ ფაქტს მიაპყროს ყური. მსუნაგ რევიზორს მისცეს სასტიკი საყვედური.

ქნალოლი

სძინავს კონდუქტორს

ქ. მახარაძეში მიმავალ რბილ ვაგონის კონდუქტორს წეროძეს სასახურის დროს ხშირად ვაგონში სძინავს, რის გამოც ღამით მგზავრები ზედმეტად მოგზაურობენ.

მიღის ვაგონი, სძინავს, კონდუქტორს, და სადგურები უკან რჩებიან. ხარაგოულში ჩამსვლელნი მგზავრნი მატარებლიდან სვირში ხტებიან. გ—ლი

აზნაზო ნიანგო!

ამხ. ნიანგო, არის ერთი ქართული ანდაზა: „სოფელი ვნახე უძალო, შიგ გავიარე უჯობო“. ეს ანდაზა გულისხმობს, რომ ისეთ სოფელში, სადაც ძაღლებია, თუ უჯობოთ არა, ჯობით გავლა მაინც შეიძლება. ზემოხსენებული ანდაზის შინაარსი სავსებით ჰკარგავს მნიშვნელობას ტფილისის ერთერთი უბნის—ახალშენისათვის. აქ ძაღლები ისეა მომრავლებული, რომ მათი თავდასხმისაგან გამვლელ მოქალაქეს არა თუ ჯობით, სავსე ზარბაზნებით, ტყვიამფრქვევლებით და უკანასკნელი სისტემის ტანკებით შეიარაღებაც ვერ უშველის.

მოგვეშველეთ, ამხ. ნიანგო!

ზან-ვინი.

„მოკრივე რევიზორი“

რევიზორია ხელობით ებრალიძე აქეს გვარია, ორჯერ გალახა მგზავრები, ცხვირში ადინა ძმარია.


თერთმეტ ოქტომბერს მიიღო წერილი გამხარებელი, სახლში მაქარზე იწვევდნენ, დასტოვა მატარებელი.

„არ მუშავებს!“

ანუ

გრიშაშვილის საღამო სახელაწივო
უნივერსიტეტი

მეგობრული შარყები დონის



ორშაბათი რომ დაღამდა, რა კაი დარი ღვებოდა.
ტფილისის უნივერსიტეტს საღამო იმართებოდა:
სტუმართა მოსაწვეველი ბილეთი დარიგდებოდა—
მოზღვავედა ხალხი უზომო, რიცხვი არ დაედებოდა...
ყველა დარბაზად ისწრაფვის, სად კლუბის კარი ჩნდებოდა,
მაგრამ იქ ყველა სტუმარი ხიფათში ჩავარდებოდა:
კართან რაზმი ღვას მცველების, ხალხს უკუ ერეკებოდა,
მარჯვედ იქნევდის ჩოვანსა—მუშტად რომ იწოდებოდა—
უბილეთოებს დაეპყროთ, დარბაზი იჭედებოდა
და საპატიო სტუმრებს კი—ჩოლოდ ჭიტლაყი ხვდებოდა!...

ლექსის ტექნიკის ფოკუსით ასულა სტატოსფერაში,
საბანისძე და შავთელიც, მალე მიჰბაძვინ წერაში
მეცნიერულად მოქარვა—„ძველი ტფილისის ბოგემა“,
მერწმუნეთ, ჩვენი სოსოა, დივიდენდი და მოცება!..

შემდეგ მიხილ ზანდუკელს გაეხსნა სიტყვის ზანდუკი,
რას იქ, თამადად არ დასვა, სადღევრძელო თქვას მან თუკი,
თვითონ ლოტოსზე ნაზია, და სუმბულზედაც სათუთი
ბულბულად დაჯდა ტრიბუნას და იგალობა რვა წუთი:




დარბაზს შიგან ელექტრო თოვს, ოქროს წვიმად განაცრელი,
სცენას გრძელი ტაბლაკი ღვას—ფერიტ ქუფრი, განა ჭრელი?
გარს ქურუმად მოსხდომიან პროფესორნი—სიტყვის მთლელნი,
ეშხით ისე ირხევიან, ვით ნიაგზე ტბისა ლელნი.
მაგრამ ზარი... სეფე-სიტყვა გთხოვთ უსმინოთ ასათიანს.—
ჩაახველებს და ლექციას გაკრელებს ლაზათიანს:
იტყვის: მაი ჩვენი სოსო, ამფერია, იმფერია,—
ქეც მღერის და ქეც მკვლევარობს, თან ქეც კოცნის ტყის ფერიას,
რაც კარგს შობა—იგი მოგვწონს, ვუძრახავთ რაც საძრახია,—
ნამეტანს გთხოვთ შეიყვაროთ, რადგან კაი ყაძახია!...

— ჩვენო მაღალო მგოსახო, ნარნარი ლექსის მღერალო,
ფუნჩულა რითმის ავტორო, ნაუგუბარ კალმითწერალო,
ჰაე-ოვანი ვაყი ხარ, უცხო რამ ფრინვილს მაგონებ,
შენი საამო გალობით, მალხენ და აღარ მალონებ,—
მაშ იტიკტიკე ჩიტუნავ, ნისკარტს შაქარი იკარი,
ჰალალი იყოს შენზედა ჩვენიცა ნატიკტიკარი...
სთქვა და ტრიბუნის სფეროდან გაფრინდა როგორც პიკარი...

რა მოდაკლადის სიტყვანი ვერაგინ დაიწუნოსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა სატრიბუნოსა,
ეჭა გამოჩნდა, ვინ არის, რომ სმენამ ისალბუნოსა?
თმა ჰალარი აქვს ნათოვი, წვეგრკობტა, ბულანყოვანი—

და წამოდგა ჩვენი სოსო, ლელვით თითებს იფშენეტავდა,
ქვემო ბაგე მოეკენიტა და ზემოსაც იკენეტავდა,
დაიწყო და რითმებისა ისე დასძრა ქარიშხალი,
რომ ვფიქრობდით:—ჩვენ აქედან ვეღარ გავალთ თავცოცხალი!
ძლივს გადავრჩით... სევდის ჩრდილი განდევნა და გააქცია,
და ბარაშკას ეშხისაგან სკამი სამჯერ წააქცია...



კეკელიძეა კორნელი, მწერლობის, მოგვი, მხოვანი—
წვრილი დისკანტიო ლალადებს, ხელს აპყრობს—როგორც
ლოტბარი,

როს დასრულდა ეს საღამო და ზღვა ხალხი დაიშალა,
დამსწრეთ შორის ამდაგვარი, საუბარი „გაიშალა“:
— დე ბარაშკამ სოსოს მუზა „ატიკტიკოს“, „ენაცვალოს“
მაგრამ სოსომ სადღეისო თემისთვისაც მოიცალოს.

და გრიშაშვილის საქებრად გაშალა გრძელი ხოტბარი:
— ეს ჩვენი სოსო მგოსანი—მოგვხსენებათ ვინ არი,
სავათნოვას და ბესიკზე ითი თაბახით წინ არი

შაკასაღანი



- სადაურია თქვენი იარაღები?
- გერმანული.
- თვითმფრინავები?
- იტალიური.
- ჯარისკაცები?
- შაროკოელებია.
- რა გაქვთ ესპანური?
- სროლის ნიშანი.

სულთანა

ნახ. სოიფერტის



- ვის მიასვენებენ?!
- მუსიკის შესრულების მიხედვით, შობენ მარხავენს..



— აშხ. მოსამართლენო დამნაშავეს ბრალი ედება წუნდებული ტანსაცმელის გამოშვებაში. ეს შეცდომაა.



— შე ვაცხადებ, არა მარტო როგორც იურისტი, არამედ როგორც იმ ფაბრიკის პროდუქციის მომხმარებელი, რომელსაც ბრალდებული ხელმძღვანელობს...



— ...რომ მისი პროდუქცია სავსებით აშართლებს მომხმ... მომხ... მომხვეია ეს ოხერი...



მ მ ზ ა მ რ ე ბ ი

წინდახედული

ნახ. ვ. კუპრაშვილის

სამტრედიის ქალაქის კლუბში საქმეები არ
არის საკმარისი.

ნახ. ი. ანდრიადის

ქმანია მომართული მატყს,
ხელში მიჭირავს სტვარია,
ძმად ნიანგო, მსურს გითხრა
ნაშურის გასაჭირია.
ზოგს საქმეს სენით

შეპყრობილს
თქვენგნებ განკურენა სჭირაა
რომ ავიცილოთ საფრთხე და
ყოველი მანენ-ჭირია.
ვინ არ იცის, რომ ქვეყანადა
უწყლოდ ცხოვრება ძნელია
სურამის მხრიდან ამიტომ
ვასურებს არხები გრძელია.
ნაშური წყალს ელოდებო
ოთქმის მესამე წელია,
მაცრამ არსად ჩანს, მშრომე
ლებს

ლამის გაუხმეს ყელია,
ხალხში ხმებია: ას წყალი,
ძლივს სურამისთვის კმარაო.
სულ ჩიაიარა ფუტბადა,
რაც დაიხარჯა ფარაო.
ასალ გეგმებსა ადგენენ,
ვარაუტებიც ბევრია,
ჩაგრამ ხალხს წყალი
სწყურია

ქე მანაც ასე ვმდერია.
მემცდარი გეგმით დიდ
საქმეს

არცინ მოჭიდოს ხელია,
ლორეშ ასეო საქმენი.
ბევრის ანლისა მოქმელია,
წაგნებლის დასჯა კანონით
სასტიკად ჩვენი წესია,
„სველანი იმას მოიშკის,
ვისაი რა დაუთესია“.

კოოპერატივში შევედი,
ასანთის ყიდვა მჭირია.
ოთხი კაპიკი წაიღეს,
თუმც ეს არც ისე ძვირია,
ზოგან კი სამად ყიდიან,
სხვაობა გასაკვირია.
იქვე ფაოლ ლთან მივედი,
მსურს ცუდი ლამონათია,
რეჟში ჩავდექი, გავიდა,
წამები ოცდაათია,

ვეღირსე, მაგრამ ჭიქა წყალს
დააკლეს მეოთხედია,
დოღდა, სიგრალის მავიერ
დამწვა გოლი და მკერდია.
ბაღში წასვლისთვის ავედი
სადღურს ზევით რომ ხილია,
მის ბოლოს ბაღი გამოჩნდა
თუმცა არც ასე დიდია,
კარები კერსად ვიპოვე,
ლორსმნებით დაქვედილია.
რაკი შივ არცინ სეირნობს
მიდამო მოწყენილია.

ვარდ-ყვავილები არსად ჩანს,
ხიბსაც აღარ უფლიან,
აუზი წყალსა ნატრულობს,
შინგრეულ მონგრეულია.
ბაღს ვუტყერ, გული მიკედება
რომ ჩათოვლიათ გერადა,
იაცელად, რომ გახდეს

კულტურის
და დასვენების კერადა.
მინდა გახეთი ვიკითხო,
დასამშვიდებლად გულასა,
კრთად მივიღე ნოემბრის
სამის, ოთხის და ხუთისა
სალი.



— სად მიდისართ, რომ ასე აყრილხართ
დედაბუდიანად?

— ჩვენი ნათესავის ნათესავი ნიკო ქა-
ლაქში საბინაო ამხანაგობის თავმჯდომარე
გამხდარა და იქ ვაპირებთ გადასვლას!

ვერ ბაიგო.

სამტრედიის ბაზარი მოუწყობელი და ატა-
ლახებულია.

ნახ. ი. ანდრიადის



— ბაზარს ხომ არ ხნავენ?
— არა, მანქანა ამოშყავთ ტალახიდან.
კოოპსავემაროში

ნახ. აკ. ნარსიასი



— მე კალოში გთხოვეთ, თქვენ კი „პარა-
ხოდი“ მომიტანეთ.




— ოთხი ბილეთი ვიყიდე, იქნებ ერთი სკა-
მი მაინც შემხვდეს!..

ბანტვირთული

„სოფ. ძვ. სენაკი (ცხაკაიას რ.) წისქვილში
დიდ მინდს იღებენ“

ნახ. ბ. მილიუტინის



— ხომ ხედავ დაცლილი ტომარა მოშაქვს,
მაშახადამე წისქვილიდან მოვდივარ.
სწორი ბანმარტმვა.

ნახ. ჩხაიძის.



— რაშია საქმე რომ ყოველთვის მთვრა-
ლი დაიარები?
— სახადილოში დავდივარ... აქ კი წყალი
ღვინოზე უფრო ძნელი საშოვნია!

ზოგიერთ სასაღილოებსა და რესტორი-
ნებში არ მოიპოვება ხელსაბანი ან თუ
არის ანტისანიტარულ მდგომარეობაშია.

საბ. ღონის.
ნიჟნიკოთაჟი

— თავს კარგად მოუარე. კარგ სასაღი-
ლოში ისაღილე!—დამიბარა ცოლმა, როცა
სოფელში მიემგზავრებოდა სტუმრად.

— ნუ გეშინია, ჩემო კეთილო.—გუთხარი
მე.—შვიდი სული იყავით და, ვატრონობ-
დი, ახლა მარტო ჩემ თავს როგორ ვერ ვე-
პატრონები?

— ნესტორ, რომელ სასაღილოში საღი-
ლობ?—შევეკითხე მეორე დღეს ამხანაგს.

— უკვე არც ერთში, ჩემო ძმაო, ორ დღეს
ვსაღილობდი და ნეტა მაშინაც არ მესაღი-
ლა.—არ დაამთავრა სიტყვა, ისე გაიქცა
სადღაც.

— ძუნწი კაცია,—გავიფიქრე მე.—ვინ
იცის, ეგებ ცარიელ პურზე გადადის.

სამი საათია. დაწესებულებიდან პირდაპირ
გორკის ქუჩაზე გამოვედი, აი იქ საღაც
„ობშჩედოსტუპნაია სტოლოვია“ არის.

შევედი შიგ. მაგიდას მივუჯექი.
კარგა ხანს ველოდე, მაგრამ რახან თავი-
სით არავინ მომაკითხა, ავბრახუნდი.

— რა გნებავს?—მოირბინა ერთმა ახალ-
გაზრდამ.

— სადილი!...

— ბორში, სუპი, სოუსი, კატლეტი!—მი-
მაყარა მან და, ჩემს პასუხს არ დაუცადა, ისე
გაიქცა და მეორე მაგიდასთან მივარდა, რო-
მელზედაც ჩემსავით ბრახუნობდა ვიღაც.

კიდევ გავიდა რამდენიმე წუთი.

— ამხანაგო, მომიტან თუ არა სადილს?—
გულმოსული შევეკითხე. ისევ იმ ახალ-
გაზრდას, რომელიც ციბრუტივით ტრიალობ-
და მაგიდებს შუა.

— რას ინებებთ?—ისევ მკითხა მან.

— მომიტანეთ ბორში. მეორე კატლეტი.
ერთი ლიმონათი!—არ დამითავებია სიტყვა,
რომ ახალგაზრდამ მეორე მაგიდასთან მიირ-
ბინა.

გავიდა საკმაო დრო და მივიღე მხოლოდ
პური და ნახევრად ჟანგისაგან შექმული
კოვზი.

ესტრადაზე ახმაურდა „ორკესტრი“. გაბა-
ხენდა მეცხვარის ოინები: მშიერი ცხვრები
სამ დღეს შეიქცია დოლის ბრახუნით. უთუ-
ოდ ეს ორკესტრიც იმ დოლის როლს ას-
რულებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ დო-
ლის ბრახუნს სიამოვნებით ისმენდნენ ცხვრე-
ბი, ხოლო ამ „ორკესტრის“ ჰანგებს კი...

— სადა ხარ შე ოხერო მოფიქრების უნა-
რო? რა იქნებოდა, რომ იმ არსებას, რო-
მელსაც ამ სასაღილოების ხელმძღვანელობა
ეწოდება, ამ „ორკესტრის“ ნაცვლად სამი
კაცი დაეჭირავენბია მომსახურებლებად!—გა-
ვიფიქრე ჩემთვის.

— კი, მაგრამ, მითხარი მაინც, რომელ სა-
საღილოში დადიხარ?—ვეკითხები ისევ ნეს-
ტორს.



— აი ხელსახოცი, შეიმშრალეთ!..
— როგორ?! დაბანილი ხელი ისევ დვისვარო?..

— ხომ ვითხარი, არ დაცდივარ—ძეთქი. —
გაჯავრდა ის.— ან რატომ უნდა ვიარო. იქ
სიარულით ისეთი ავადმყოფობა ამეკიდა,
რომ გარდა ერთი ადგილისა არსად სიარუ-
ლის ხასიათი არა მაქვს. ახლა ისე დავსუსტ-
დი, რომ იქ სიარულიც აღარ შემიძლია!—არ
დამითავრებია სიტყვა, რომ მომშორდა და
საპირფარეშოსკენ გაიქცა.

ახლა კი მივხვდი ნესტორის გასაჭირს
ს უთუოდ „ობშჩედოსტუპნაიაში“ სადილობდა
და იქიდან შეიძინა ეს ავადმყოფობა!

მესამე დღეს მე და ნესტორი ბულვარში
ვართ, მეორე სართულზე ავდივართ სასა-
ღილო-რესტორანში და სუფთა ჰაერზე სუფ-
თად გადაფარებულ მაგიდას ვუჯდებით.

— აწი მუდამ აქ ვისაღილებ!—ვეფიქრობ
მე.—სისუფთავეც არის და ჰაერიც.

სანამ მსახური მოგვაკითხავდა, გაზეთი
გავშალეთ. კარგია, რომ ორი-სამი ქრონიკის
წაკითხვაც მოასწრო. დრო ისედაც ძვირი
ღირს.

სამგლოვიარო განცხადებებიც კი გადავი-
კითხეთ. მატარებლის მიმოსვლის ცხრილიც
რომელიღაც დაწესებულების ექვსთვიურა
ბალანსიც. ერთი ბჭკარიც არ დავგვიტოვებია

წაუკითხავი, მაგრამ არავინ არ მოვიდა ჩვენ-
თახ.

— იქნებ გაზეთის საკითხავად მოსულა
ვგონივართ.—მითხრა ნესტორმა. და გაზეთი
გვერდზე გადადო.

— ამხანაგო, მოგვიტანეთ კერძი!—ახლავე!
— მოგვიტან თუ არა სადილს?—ეუბნება
ნესტორი ცოტა ხნის შემდეგ იმავე კაცს.

მან შემოგვიბღვირა.

— ამხანაგო, სადილი გვინდა!—ვეუბნები
გაჯავრებული.

— ამ მაგიდას მე არ ვემსახურები!
მეორემაც უარი გვითხრა. მესამემაც.

— ნეიტრალურ ზონაში მოვხვედრილ-
ვართ.—ამბობს ნესტორი და მეორე მაგიდა-
ზე გადადის, რომელიც ესაა ახლა მიატოვე-
ერთმა მოქალაქემ. უწვავი სუკი მიეტანათ.
დაიწუნა. მისი გამოცვლა არ ინებეს. ჭირვე-
ულმა მოქალაქემ კი არ ისურვა უწვავი ხორ-
ცის ჰამა, წარმოდგა, და მიატოვა მოტანი-
ლი კერძი.

ახალ მაგიდაზე ბევრი ცდა არ დავგჭირე-
ბია. გამოირკვა, რომ კერძი გათავებულიყო
და ჩვენ იმავე (კარიელი კუჭით გამოვედით,
როგორითაც შევედით.

სასაღილოდან პირდაპირ კრებაზე წამოვე-
დით. (რვა საათზე იყო დანიშნული), ნახევარ-
ი საათით დავვიანებოდა.

ნეტავ როდის იფიქრებენ კვების ხელმძღ-
ვანელები ამ საკითხის მოგვარებ ას? ..

პ. ოზოლი.

ამხანაგო ნიანგო!

„სამაგიეროს გადახდა“

მეორე წელია თელავის ელსადგური აღარ მუშაობს ქალაქის ქუჩებსა და მცხოვრებთა ბინებში სიბნელეა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხ. ნიანგო.

კახეთის მატარებლის შემადგენლობას თელავის მიმართულებით) მიყავს სულ ხუთი ვაგონი. აქედან ერთი დედათა და ბავშვთა, მეორე რბილი და ორიც პლაცკარტი, ხოლო ჩვეულებრივი მგზავრთათვის დარჩენილია ერთი ვაგონი. მგზავთა 99 პროცენტი იღებს ბილეთებს — ამ ვაგონისთვის, რის გამოც ეს უკანასკნელი იმდენადაა დატვირთული, რომ ბაღლინჯოსაც კი უძნელდება ფეხის მოქნევა თლო დანარჩენი ვაგონები დაყვებიან შემადგენლობას უნივერსალის ფენსაც ეღებინ განყოფილებადაც გაუხევილი.

ამიტომ გთხოვთ გვიპასუხოთ — რატომ აცუფენს რკინისგზის სამმართველო ასე უქმად ნეტალისათვის ოთხ ვაგონს!

მგზავრი.

ამხ. ნიანგო!

მე ვარ სოფ კონდოლი (თელავის რაიონის) „გზა სოციალიზმის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი. ყველა კოლმეურნეებს გვაქვს გამოწერილი გაზეთი „კომუნისტი“ მთელი წლით, მაგრამ რატომღაც ფოსტის დამტარებელს სანდრო

ხიდრაშვილს თვეში ერთხელ მოაქვს გაზეთი. როდესაც შევეკითხებით — რატომ მოგაქვს თვეში ერთხელ — ის გვიპასუხებს: „ტფილისიდან ასე მოდის და მე რა ვქნაო“. ამიტომ, რომ არ დარჩეს კოლმეურნეთა შორის გაუგებრობა, გთხოვთ გვიპასუხოთ. ამხანაგო ნიანგო, როდის გადაკეთეს გაზეთი „კომუნისტი“ ერთთვიურ ორგანოდ?

კოლმეურნე.

ამხ. ნიანგო!

ცენტრალურ პედოლოგიური ლაბორატორიის გაქმების შემდეგ შენობა, სადაც აღნიშნული დაწესებულება იყო მოთავსებული, გადაეცა ტფილისის განათლების განყოფილების პედაგოგიკის კაბინეტს. ტფილისის ჯანრმთელობის განყოფილებამ კი, ამავე შენობაში, გახსნა ბავშვთა ცენტრალური პოლიკლინიკა და აქვე არსებობს ფსიქონერვიული ინსტიტუტი. რის გამო ყოველდღიურ და სწარმოებს ბრძოლა ამ დაწესებულება თა შორის ოთახე ის გოლისათვის.

გთხოვთ გვიპასუხოთ ამხანაგო ნიანგო რა მდგომარეობაში უნდა იყოს ამ საქმიან მოთავის ფსიქონერვიული მდგომარეობა?

დაინტერესებული.



ეს ჩვენი გზა და ქუჩები ერთხელ შენ გინათებია, სიკეთეს რად დავივიწყებთ როცა სიბნელე გზლებია? ეს ძველებური უინულილი გინათებთ ხანდისხანაო, — სამაგიეროს გადახდა თელავშიც ვიცით განაო!...

სამზარეულო

ამ ჩვენს დაბაში ნიანგო უნავთ ვერსად მიდიან, წვიძის დროს აქ რომ გუბე დგას, სიღრმით რომანზე დილია. მას შეუძლია დაახრჩოს პეგრი წერილდება რკოსანი.

პარასკევს წყალში ჩავარდა თერმეტი მანდილოსანი. ბაზარში წასვლას არ გირჩევს, თუ არ ხაოთ კარგი მსურავი. ამ ფაქტზე გვიხდა პასუხი მოკლე და ამომწურავი.

ქნელ-ოღლი.



კაკულის (ხაშური) თქვენმა ლექსმა ჩვენს რედაქციაში დიდი ხალისი გამოიწვია: აი თქვენი ლექსის ნაწყვეტი: ჩემო თავო, ეს რა ქენი, არიელი, მარიელი შენი ქუდი სხვას აჩუქე, თვითონ დარჩი ცარიელი.

იშვიათი გულწრფელობითაა დაწერილი. განაგრძეთ ასეთ ნაწყვეტებს ასეთსავე ადგილებზე ყოველთვის მოგითავსებთ. გორიანს (ნაგომარი, გურია) იწერებთ:

იმისთანა ზღვა წყალი დგას შარა გზაზე, — ნაგომართან, რომ დამხრჩო იქ მე ლამის კატასავით ცოლი მართა.

შენ ჯერჯერობით აღარაფერი გაქვს საფიქრალი: მართა გადაგრჩენია, მაგრამ საინტერესოა ფიქრობს თუ არა გზატკეცილების სამმართველო მახარაძე-ჩონატაურის გზაზე გემთა მიმოსვლის მოწყობის შესახებ?

ლულუს (აქვე) ალბად ახალი ჩამოსული უნდა იყოს ჩვენს რედაქციაში, როდესაც ტფილისის საბჭოს მიმართ ასეთ საყვედურს გვწერს:

ტფილისის საბჭომ დაგვლუბა შორს ვადიტანა ბაზარი: საბურთალოზე, გზა არ გვაქვს შიტომ გვეცემა თავზარი.

ტფილისში საბურთალოს ბაზრის გარდა სხვა ბაზრებიცაა, — კულტურულად მოწყობილი. ტფილისის საბჭოს კი ბაზრის გამრავლებას და მოქალაქეებზე დაახლოებას ვერ ვუსაყვედურებთ. საერთოდ არ უნდა სწეოთ იმ თემაზე, რასაც კარვად არ იცნობთ.

კაჟან ცისკარელს (ძველი სენაკი) — წერა გეხერხებათ, მაგრამ აქამდე თქვენს მასალებს ვერ ვიყენებდით, იმის გამო, რომ მათ არ ახლავს ცალკე განმარტება. მოგვწერეთ მისამართი და თვითველ მასალის შესახებ მიიღებთ წერილობით კონსულტაციას.

გამოხმაურება

სახუნტის დირექციის განმარტებით, სტიპენდიის დარიგების დროს გრძელ რიგებს, რომელსაც გამოხატავდა ჩვენი ჟურნალის მე-19 ნომერში მოთავსებული კარიკატურა, შემთხვევითი ხასიათი ქონდა. ამჟამად სტიპენდიის დარიგების დროს რიგები ლიკვიდირებულია.



— რაო, „ნიანგო“ გაუიღვინო?! ზღაპარს ხომ არ ამბობ? როდის იყო რომ გამოხვლიდან ორი დღის შემდეგ „ნიანგო“ საცალოდ გასაყიდად იშოვებოდა? დაგვიანებული ხარ მეგობარო! წამხდარ საქმეს ველარ უშველი და თუ გინდა მომავალშიც მაგ დღეში არ ჩავარდე, უებარ წამალს გახწავლი!

— მიშველი, დამისხენია...
— გახდი მისი წლიური ხელის მომწერი!

ავიჯეულობის სავაჭრობის სავაჭრო უბანი
არტელ "პირველ მაისს" მიერ დამზადებული
ორი ვაგონი წუნდებულ საჭურველში
დეს.
გეორგიანული
ნახ. დონის

სუჩის შებენი ავეჯი
პრეტენზია!

ხელი არ ახლო!



აუცილებელი პლაკატები.